ახალი ხარაგაული

351 (10) 8 მაისი, 2017 წ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგიონული თათბირი ჩატარდა

25 აპრილს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში რეგიონული თათბირი გაიმართა, რომელსაც იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, პირველი მოადგილე პაატა ნადირაძე, ვიცე-გუბერნატორი გიორგი ჭიღვარია, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილი და იმერეთის მუნიციპალიტეტების გამგებლები ესწრებოდნენ. თათბირის დაწყებამდე იმერეთის გუბერნიის წარმომადგენლებმა გედსამანიაში ცენტრალური გზის 3 კმ–იანი მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები დაათვალიერეს. აღნიშნულ პროექტს რეგიონული განვითარების ფონდი 277 380 ლარით აფინანსებს. ხარაგაულში 2017 წელს ცენტრალური ბიუჯეტიდან საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად 3 535 500 ლარია გამოყოფილი. მუნიციპალიტეტში სულ 14 პროექტი განხორციელდება, რომლის შედეგად გზები და სანიაღვრე ქსელი მოწესრიგდება. პროექტების დასრულების შემდეგ ადგილობრივები უსაფრთხოდ და კომფორტულად გადაადგილებას შეძლებენ.

ამავე შეხვედრაზე რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსმა, ზურაბ გაბიძაშვილმა, 2017 წელს განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოცხადებული ტენდერების შესახებ იმსჯელა. მხარის 12 -ვე მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა სახის სამუშაოები. მან დადებითად შეაფასა ეს პროცესები და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებს იმ სიახლეებზე ესაუბრა, რაც დაიგეგმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ სამომავლოდ. სამინისტროს ინიციატივაა, მუნიციპალიტეტებმა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის გამოყოფილ თანხაში ზედამხედველობისთვის 5% გაითვალისწინონ.

ლელა გუგულაშვილი

ხარაგაულის სტუმართმოყვარეობა „გვირილობა 2017-ზე"

,,გვირილობის" დღესასწაული ქუთაისში სახალხო ზეიმით აღინიშნა. მუხნარის ტყე–პარკში იმერეთის 12 მუნიციპალიტეტი შემოქმედებითი ღონისძიებებით, ეთნოგრაფიული და ტრადიციული გასტრონომიული კუთხით იყო წარმოდგენილი. ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა ჩვეული სტუმართმოყვარეობით წარმოადგინა თავისი კუთხის ტრადიციები, როგორც სამზარეულო, ასევე ორიგინალური ხალხური რეწვის ნიმუშები და ხის ნაკეთობები. მუხნარის ტყეში გასართობი და სპორტული აქტივობები გაიმართა. მოეწყო გამოფენები, თეატრალიზებული სანახაობები. „გვირილობა 2017-ს" ქუთაისში ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძე, მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, მოადგილეები: არჩილ მაღრაძე, თემურ ჩხეიძე და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

წიფაში ახალი საბავშვო ბაღი გაიხსნა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში კიდევ ერთი საბავშვო ბაღი გაიხსნა. სოფელ წიფაში ახლად აშენებული სკოლამდელი დაწესებულება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, გახსნა. ამ ცერემონიალს საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძე, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენლები, გამგებლის პირველი მოადგილე, არჩილ მაღრაძე, ბაღების გაერთიანების დირექტორი მამუკა ჭიპაშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ. სკოლამდელი აღზრდის ეს კერა 2016 წელს რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით (64 894 ლარი) აშენდა, ხოლო 2017 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით (8 000 ლარი) საბავშვო ბაღი ინვენტარითა და ტექნიკით სრულად აღიჭურვა. იგი 25 აღსაზრდელზეა გათვლილი და სამი სოფლის მოსახლეობას მოემსახურება. ბაღის გამგედ დალი გელბახიანი დაინიშნა და საერთო ჯამში აქ ექვსი ადგილობრივი დასაქმდა.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღსაზრდელებს და პედაგოგებს სწავლის დაწყება მიულოცა და ახალაშენებული დაწესებულება სტუმრებთან ერთად დაათვალიერა.

,,კიდევ ერთი ახალი ბაღის მშენებლობა დავასრულეთ. აქ ყველანაირი პირობაა, სააღმზრდელო პროცესი მაღალი სტანდარტებით წარიმართოს და აღსაზრდელებმა მიიღონ შესაბამისი სწავლა-განათლება. მადლობა რეგიონული განვითარების ფონდს ასეთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისთვის. მადლობა ასევე ყოფილ გამგებელსა და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარ დეპუტატს კობა ლურსმანაშვილს, სწორედ მისი უდიდესი ძალისხმევის შედეგია ამ ბაღის აშენება."-აღნიშნა ნიკოლოზ თოფურიძემ.

გამგებლის პირველი მოადგილე, არჩილ მაღრაძე, მიიჩნევს, რომ წიფაში ახალი საბავშვო ბაღის აშენება მიგრაციის საწინააღმდეგოდ გადადგმული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია. მისივე თქმით, ბაღი ის გარემოა, სადაც ხდება ბავშვის აღზრდა, ჩამოყალიბება და საზოგადოებაში ინტეგრირება. მაღრაძე ამბობს, რომ წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში მეტად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იგეგმება, რაც ერთგვარი წინაპირობაა იმისა, სოფელი არ დაიცალოს და ბევრს გაუჩნდეს ამ ულამაზეს ხეობაში დაბრუნების სურვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, მანანა ბარბაქაძემ, აღსაზრდელებს საჩუქრები გადასცა და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ მუნიციპალიტეტისთვის საბავშვო ბაღების მოწესრიგება ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია. მისივე თქმით, ბაღი აღსაზრდელს სკოლაში წასვლისთვის ამზადებს და აუცილებელია სათანადო მყარი საფუძველი ჰქონდეს ამ პროცესის სრულყოფას.

შეგახსენებთ, რომ სამი წლის განმავლობაში ხარაგაულში რვა ახალი ბაღი აშენდა და ხუთს რეაბილიტაცია ჩაუტარდა. სკოლამდელი დაწესებულების გახსნა მიმდინარე წელს ნადაბურის ადმინისტრაციულ ერთეულშიც იგეგმება. აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად ტენდერი დასრულდა და სამშენებლო სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, „ეტალონში" გამარჯვებულებს ლეპტოპები გადასცა

საგანმანათლებლო რესურსცენტრის კვირეულის დასკვნით ღონისძიებაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, ინტელექტუალურ ჩემპიონატ „ეტალონის" გამარჯვებულებს ლეპტოპები გადასცა. პორტატული კომპიუტერი ნინო მაღრაძემ (მარელისის საჯარო სკოლა, პირველი ადგილი), ნონა მაჭავარიანმა(დაბის N2 საჯარო სკოლა, მეორე ადგილი) და სალომე გოგოლაძემ (ვერტყვიჭალის საჯარო სკოლა, მესამე ადგილი) მიიღეს.

ნიკოლოზ თოფურიძემ ახალგაზრდებს მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა და დასძინა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ყოველთვის წაახალისებს და გვერდით დაუდგება ნიჭიერ მომავალ თაობას.

იმერეთის მასშტაბით სოციალურ დასმარებას უკვლაზე მეტი მოქალაქე ხარაგაულში იღებს

სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილემ, თამაზ ვაშაყმაძემ, რეგიონულ თათბირზე თვითმმართველობის წარმომადგენლებს იმერეთის სამხარეო ცენტრის მიერ გაწეული

გაგრძელება ▶ 2 გვ.

იმერეთის მასშტაბით სოციალურ დახმარებას უვიცაზე მეტი მოქალაქე ხარაგაულში ილებს

დასაწყისი ▶ 1 გვ.

საქმიანობის შესახებ ანგარიში გააცნო. ანგარიში სოციალური შემწეობის მიმღებ პირთა შესახებ ინფორმაციის დაზუსტებას, დეკლარაციის შევსების წესების განსაზღვრას , ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებასა და დღეს მოქმედ პროგრამაში ყველა არსებული კითხვის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას ემსახურებოდა. მუნიციპალიტეტების გამგებლებმა და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, კობა ლურსმანაშვილმა, შეკითხვები დასვეს და ასევე გამოთქვეს უკმაყოფილება ფულადი შემწეობის დანიშვნასთან დაკავშირებით. მათი განცხადებით, შედარებით შეძლებული ოჯახებიც იღებენ სოციალურ დახმარებას და უკიდურესად გაჭირვებულები შემწეობის გარეშე რჩებიან. აღინიშნა ისიც, რომ მოსახლეობა უკმაყოფილოა სოციალური აგენტების მუშაობით, რადგან ისინი, ხშირ შემთხვევაში, დაინტერესებული არიან კონკრეტული ოჯახისთვის ფულადი შემწეობის დანიშვნა-გაუქმებით. თამაზ ვაშაყმაძემ და გუბერნიის წარმომადგენლებმა სთხოვეს გამგებლებს, სოცაგენტების არაკეთილსინდისიერი მუშაობის შესახებ კონკრეტული, დადასტურებული ფაქტები მიაწოდონ და რეაგირება დაუყოვნებლივ იქნება მათი მხრიდან.

2017 წლის მარტის მონაცემებით, იმერეთში ფულად სოციალურ შემწეობას 19 431 ოჯახი იღებს (66 ათასი პირი), ბაღდათში – 755 ოჯახი (2 500 პირი), ვანში – 1 200 ოჯახი (4 500 პირი), ზესტაფონში -1949 ოჯახი (7 155 პირი), თერჯოლაში – 507 ოჯახი (1 936 პირი), სამტრედიაში – 1300 ოჯახი (4 524 პირი), საჩხერეში – 1 262 ოჯახი (5 591 პირი), ტყიბულში – 1 024 ოჯახი (2 834 პირი), ქუთაისში – 2 910 ოჯახი (8 230 პირი), წყალტუბოში – 1 939 ოჯახი (4 604 პირი), ჭიათურაში – 3 073 ოჯახი (10 252 პირი), ხარაგაულში – 1 644 ოჯახი (6 147 პირი), ხონში -1 868 ოჯახი (5 894 პირი).

მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით, საარსებო შემწეობას პროცენტულად (31%) ყველაზე მეტი მოქალაქე ხარაგაულში იღებს.

ლელა გუგულაშვილი

,,სუფთად ევროპისკენ!"

მასშტაბურ დასუფთავების აქციას, რომელიც დედამიწის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საქართველოს ყველა რეგიონში გაიმართა, ხარაგაულიც შეუერთდა. მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და საჯარო მოხელეებმა ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავეს.

დასუფთავების მასშტაბური აქცია ,,სუფთად ევროპისკენ" საქართველოს პრემიერ - მინისტრის ინიციატივითა და გარემოს დაცვის სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა.

სამედიცინო კორპორაცია „ევექსმა" ახალი მასშტაბური აქცია დაიწყო

25 აპრილს გამართულ რეგიონულ თათბირზე დასავლეთ საქართველოს ეროვნული სამედიცინო ცენტრის დირექტორმა, ანჟელა ორჯონიკიძემ, სამედიცინო კორპორაცია ,,ევექსის" მიერ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში კიბოს სკრინინგის კომპონენტის მომსახურების უზრუნველყოფის შესახებ მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა.

სამედიცინო კორპორაცია „ევექსი" ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მსხვილი ჰოსპიტალური ქსელია, რომელიც დღეისთვის საქართველოს 6 რეგიონში 76 კლინიკითაა წარმოდგენილი. მათი კარგად დაბალანსებული კლასტერული წყობა კორპორაციას საშუალებას აძლევს, განახორციელოს პაციენტების ეფექტური მართვა როგორც რაიონულ, ისე მრავალპროფილურ რეფერალურ სამედიცინო დაწესებულებებში.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით ავთვისებიანი ონკოლოგიური დაავადებები დაავადებათა პირველ სამეულში შედის. კიბოსთან ბრძოლის ყველაზე უფრო ეფექტური გზა არის მისი ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირება, რადგან ამ დროს დაავადება განკურნებადია. კიბოს სკრინინგის პროგრამა, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს, სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

2017 წლის მარტიდან ქუთაისის ონკოლოგიურმა ცენტრმა საქართველოს მასშტაბით კიბოს სკრინინგ პროგრამის განხორციელება დაიწყო. ნებისმიერ მოქალაქეს საშუალება აქვს, კიბოს გამოკვლევა სხვადასხვა მიმართულებით სრულიად უსასყიდლოდ, სახელმწიფოს დაფინანსებით ჩაიტაროს.

ცენტრი საქართველოს მოსახლეობას ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის თანამედროვე მეთოდებს სთავაზობს, სადაც სხივური და მედიკამენტოზური თერაპიის განყოფილებებს უცხოეთის წამყვანი ონკოლოგიური კლინიკების ონკოლოგები უწევენ ზედამხედველობას.

„ონკოლოგიის ცენტრი" ერთადერთი სამედიცინო დაწესებულებაა იმერეთის რეგიონში, სადაც სამედიცინო კორპორაცია ,,ევექსმა„ ხაზოვანი ამაჩქარებელი აპარატის დამონტაჟება განახორციელა, იგი რთულად მისადგომ სიმსივნურად დაზიანებულ უბნებში მიზნობრივ დასხივებას ახორციელებს. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება ონკოლოგიაში მკურნალობით გამოწვეულ გვერდით მოვლენებს და გართულებებს მინიმუმამდე ამცირებს.

დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ქრონიკულ ონკოლოგიურ პაციენტებს რეგიონიდან გასვლა აღარ სჭირდებათ, რადგან ცენტრში ონკოლოგიური სერვისების სრული სპექტრი არის წარმოდგენილი როგორც დიაგნოსტიკის, ასევე მკურნალობის მიზნით.

,,საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე ქუთაისის ონკოლოგიურ ცენტრში, გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფებში, უფასოდ ჩაიტარებს საშვილოსნოს ყელის, ძუძუს, პროსტატისა და მსხვილი ნაწლავის გამოკვლევებს. დავგეგმეთ პერმანენტული გასვლითი აქციებიც, რომლის ფარგლებში ადამიანებს შესაბამისი თანამედროვე სამედიცინო ლაბორატორიით ადგილზე მოვემსახურებით, ამ აქციის განხორციელებაში თქვენი თანადგომა და მხარდაჭერა მნიშვნელოვანია, რათა უფრო ორგანიზებული და ნაყოფიერი გამოვიდეს და მოსახლეობაც კმაყოფილი დარჩეს,"- განაცხადა ქალბატონმა ანჟელამ თათბირზე. იმერეთის მხარის პირველმა პირებმა და მუნიციპალიტეტების გამგებლებმა მზადყოფნა გამოთქვეს აღნიშნული აქციის მხარდასაჭერად.

ლელა გუგულაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარის მორიგი საქველმოქმედო აქცია

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მორიგი საქველმოქმედო აქცია განახორციელა. აქციის ფარგლებში ქალბატონმა მანანა ბარბაქაძემ ხარაგაულის საბავშვო ბაღებს სათამაშოები გადასცა. როგორც მან ჩვენთან საუბარში განმარტა, სათამაშოები ხარაგაულელ ბავშვებს „ლილო მოლის" დირექციამ (დირექტორი გია კვარაცხელია) უსასყიდლოდ გადმოსცა. „მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო „ლილო მოლის" დირექტორს, ბატონ გია კვარაცხელიას. მწამს, ამ გულისხმიერი პიროვნებისაგან მინიჭებული სითბო - სიხარულის განცდა თავის კეთილ კვალს დატოვებს აღსაზრდელებში. მსგავსი ტიპის აქცია მომავალშიც გაგრძელდება და პატარებს არაერთხელ გავახარებთ," - აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ.

საბავშვო სათამაშოები მუნიციპალიტეტის ცამეტ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას გადაეცა. აღსაზრდელებმა დიდად გაიხარეს და სტუმრებს გულთბილი მადლობა გადაუხადეს.

თამარ მაღრაძე

მადონა შველიძე - „იმერეთის ხმის" პირველი ადგილის მფლობელია

24 აპრილს ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ქართული სიმღერის ფესტივალი „იმერეთის ხმა" გაიმართა. მუსიკალურ კონკურსში იმერეთის 12 მუნიციპალიტეტიდან 41 შემსრულებელი მონაწილეობდა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტი მადონა შველიძემ წარადგინა, რომელმაც რევაზ ლაღიძის „განთიადი" შეასრულა. კონკურსანტები სპეციალურად ამ დღისთვის შერჩეულმა ჟიურიმ შეაფასა, რომლის შემადგენლობაში კომპოზიტორი მარიკა კვალიაშვილი და მომღერალი თემურ წიკლაური იყვნენ. ჟიურის გადაწყვეტილებით „იმერეთის ხმის" პირველი ადგილის მფლობელი ხარაგაულელი მადონა შველიძე გახდა, რომელსაც დიპლომი და საჩუქრად აიპადი გადაეცა. გრან-პრის მფლობელი და „იმერეთის ხმა-2017" ამჯერად ხონის წარმომადგენელი, ნინი შონია გახდა. სიმღერის ფესტივალს იმერეთის სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე ესწრებოდა, რომელმაც გამარჯვებულები დააჯილდოვა და მათ პროფესიულ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

,,ბედნიერი ვარ, რომ ჟიურის გადაწყვეტილებით, პირველი ადგილი მოვიპოვე და ჩემი წარმატებით ხარაგაული ვასახელე. მადლობა ყველა ჩემს გულშემატკივარს,"- აღნიშნა მადონა შველიძემ.

თამარ მაღრაძე

„მუსიკა ჩემი გატაცებაა" - როიალთან არაპროფესიონალები

26 აპრილს ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, კლასიკური მუსიკის კონცერტი - „მუსიკა ჩემი გატაცებაა" გაიმართა. ღონისძიებაში სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის მუსიკის მოყვარული შემსრულებლები მონაწილეობდნენ, რომელთაც საკუთარი შესაძლებლობები ცნობილი კლასიკური ნაწარმოებების შესრულებით წარმოაჩინეს. მათ წლების წინ მიიღეს მუსიკალური განათლება, აქვთ სხვადასხვა პროფესია და კლასიკური მუსიკა მათთვის ცხოვრების თანამგზავრია.

კონცერტში მონაწილეობდნენ: გიორგი მუხურაძე, თამუნა მუხურაძე, თემურ დეკანოსიძე, მაკა გელაშვილი, ნიკუშა მაჭავარიანი, ლელა შარიქაძე, დალი ლურსმანაშვილი, ქეთინო ბოლქვაძე, ნინო ბუაჩიძე, თამარ თხელიძე.

„დიდი პასუხისმგებლობა და განცდაა სცენაზე დგომა. უდიდესი სიამოვნება მივიღე დღევანდელი ღონისძიებით. მადლობა ორგანიზატორებს ასეთი არაჩვეულებრივი საღამოსთვის. ვიმედოვნებ, მსგავს ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი მომავალში გაიზრდება," – აღნიშნა შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის დირექტორმა, ლალი ალექსიძემ.

მხარდაჭერისა და ორიგინალური საღამოს მასპინძლობისთვის კულტურის სამსახურის უფროსმა, ირინე ჩხეიძემ, მადლობა გადაუხადა სამუსიკო სკოლას და ღონისძიებაში მონაწილე ყველა ხარაგაულელს.

დასასრულს, სამუსიკო სკოლის პედაგოგებმა დარეჯან გვაძაბიამ და დალი მერაბიშვილმა „ტარანტელა" ღონისძიებაში მონაწილეთა პატივსაცემად შეასრულეს.

თამარ მაღრაძე

ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2017 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2017 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 1613.2 ათასი ლარით, ხოლო ფაქტობრივად მიღებულია 1416.1 ათასი ლარის შემოსულობები, რაც გასული 2016 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებზე 254.4 ათასი ლარით ნაკლებია (2016 წლის პირველ კვარტალში მიღებულია 1670,5 ათასი ლარის შემოსავლები) 2017 წლის შემოსავლების კვარტალური გეგმა შესრულებულია 87,8 პროცენტით .

გადასახადებში მუნიციპალიტეტს დაგეგმილი 142,7 ათასი ლარიდან მიღებული აქვს მხოლოდ 24,1 ათასი ლარი, მათ შორის საშემოსავლო გადასახადი 62,6 ათასი ლარის ნაცვლად 33,6 ათასი ლარი, ხოლო საწარმოთა ქონების გადასახადი დაგეგმილი 40,1 ათასი ლარის ნაცვლად უკანაა წაღებული 9,9 ათასი ლარი და არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 40,0 ათასი ლარის ნაცვლად მხოლოდ 0,4 ათასი ლარი არის მიღებული ; გადასახადების კვარტლის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 16,9 %-ით და გეგმის შესრულებას დააკლდა 118,6 ათასი ლარი, გასულ წლის პირველ კვარტალში მუნიციპალიტეტს გადასახადებიდან მიღებული აქვს 69,7 ათასი ლარი;

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები პირველ კვარტალში დაგეგმილი იყო 1331,6 ათასი ლარი, ფაქტობრივად მიღებულმა ტრანსფერმა შეადგინა 1193,0 ათასი ლარი.

აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი მიღებული გვაქვს 1158,5 ათასი ლარი და მიზნობრივი ტრანსფერი 34,5 ათასი ლარი, გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით გათანაბრებითი ტრანსფერი 274,9 ათასი ლარით ნაკლები გვაქვს მიღებული,(2016 წლის პირველ კვარტალში მიღებულია 1433,4 ათასი ლარი)

სხვა შემოსავლების გეგმა პირველ კვარტალში განისაზღვრა 138,9 ათასი ლარით, ფაქტობრივად კი მიღებულია 186,0 ათასი ლარის სხვა შემოსავლები და გეგმა შესრულებულია 133,9 პროცენტით. აქვე უნდა აღინიშნოს რომ აღნიშნულ სახეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიღებული გვაქვს 58,0 ათასი ლარით მეტი შემოსავალი (2016 წლის პირველ კვარტალში მიღებულია 128,0 ათასი ლარი)

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელში მიღებულია 9,8 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან 7,9 ათასი ლარი; სანებართვო მოსაკრებელი 5,1 ათასი ლარი, დასუფთავების მოსაკრებელი მიღებულია 5,3 ათასი ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები კი ფაქტობრივად მიღებულია 157,1 ათასი ლარი, სხვაობა ძირითადად გამოწვეულია ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების გაზრდით, გასული წლის პირველ კვარტალში მიღებული გვაქვს ჯარიმებიდან 107,5 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულობები დაგეგმილი არ ყოფილა, ფაქტიურად შემოსულია 13,0 ათასი ლარი, აქედან 1,9 ათასი ლარი ძირითადი ქონების გაყიდვიდან და 11,1 ათასი ლარი მიწების გაყიდვიდან.

სულ მუნიციპალიტეტმა 2017 წლის პირველი კვარტლის საკუთარი შემოსულობების გეგმა (გადასახადები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) შეასრულა 79,2 % -ით, (გეგმა 281,6 ათასი ლარი, ფაქტიური შესრულება 223,1 ათასი ლარი), თუმცა გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მობილიზებულია 20.5 ათასი ლარით მეტი საკუთარი შემოსავალი. (2016 წლის პირველ კვარტალში მიღებულია 202.6 ათასი ლარის საკ. შემოსავალი)

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2017 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში განისაზღვრა 2158,4 ათასი ლარი, ფაქტობრივად გაწეულია 1629,2 ათასი ლარი, ხარჯების დაფინანსების წყაროდ გარდა შემოსულობებისა გამოყენებულია 2017 წლის პირველი იანვრისათვის არსებული სახსრების ნაშთი გეგმით 545,2 ათასი ლარი და ფაქტობრივად 213,1 ათასი ლარი. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაწეულია 195,8 ათასი ლარით ნაკლები ხარჯი, 2016 წლის პირველ კვარტალში მუნიციპალიტეტს გაწეული აქვს 1825,0 ათასი ლარის ხარჯი.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ათვისებას, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების ნაშთიდან შესასრულებელი იყო 491,0 ათასი ლარის სამუშაოები მ.შ. 2015-2016 წლების ფონდებიდან დარჩენილი ნაშთებით 456,5 ათასი ლარი, ფაქტიურად პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით გამოყოფილი სახსრებიდან ათვისებული იქნა 154,3 ათასი ლარის სამუშაო, მ. შ. დელეგირებული უფლებების განსახორციელებლად 34,5 ათასი ლარი და სახელმწიფო ფონდების ნაშთებიდან 119,8 ათასი ლარი;

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების დაფინანსებაზე დაგეგმილი 583,3 ათასი ლარიდან გაწეულია 531,1 ათასი ლარი, გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით 53,0 ათასი ლარით ნაკლები, ხარჯების შემცირება მთლიანად გამოწვეულია საქ. მთავრობის დადგენილების მოთხოვნის შესაბამისად. მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები 2017 წლის პირველ კვარტალში განსაზღვრული 129,1 ათასი ლარიდან გაწეულია 125,4 ათასი ლარი და დაფინანსებულია 97,1 პროცენტით. 2016 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საკრებულოს ხარჯები შემცირებულია 6,5 ათასი ლარით, (2016 წლის პირველ კვარტალში საკრებულოს მიერ გაწეულია 131,9 ათასი ლარის ხარჯი) შემცირებულია როგორც შრომის ანაზღაურების, ასევე საქონელი და მომსახურების ხარჯები.

მუნიციპალიტეტის გამგეობის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 427,6 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 405,7 ათასი ლარი, ანუ 94,9 პროცენტით, 2016 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მუნიციპალიტეტის გამგეობის შესანახი ხარჯები შემცირებულია 46,5 ათასი ლარით (2016 წლის პირველ კვარტალში გამგეობის მიერ გაწეულია 452,2 ათასი ლარი) ხარჯების შემცირების ძირითადი მიზეზი არის შრომის ანაზღაურებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯების შემცირება.

2017 წლის პირველ კვარტალში მუნიციპალიტეტს სარეზერვო ფონდიდან თანხა არ გაცემულა.

თავდაცვის ხარჯების დასაფინანსებლად დაგეგმილი 21,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 20,9 ათასი ლარი, მ.შ. 3,0 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით არის გაწეული.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 2017 წლის პირველი კვარტლის შედეგების მიხედვით დაგეგმილი 790,9 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 396,9 ათასი ლარით, რაც გასული წლის პირველი კვარტლის შედეგებს 51,0 ათასი ლარით აღემატება , გასულ წელს ინფრასტრუქტურულ პროექტებს პირველ კვარტალში მოხმარდა 345,9 ათასი ლარი.

1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დაგეგმილი 476,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 137,2 ათასი ლარი, აღსანიშნავია რომ გასული 2016 წლის პირველ კვარტალთან შედარებით საგზაო ინფრასტრუქტურაზე დახარჯულია 21,7 ათასი ლარით მეტი. 2016 წლის პირველ კვარტალში დაიხარჯა 115,5 ათასი ლარი.

მათ შორის გზების მშენებლობა, რეკონსტრუქციის მოვლა–შენახვის ხარჯები დაგეგმილი 451,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 135,6 ათასი ლარი, გზების რეაბილიტაცია ხორციელდებოდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის N 175 განკარგულებით გამოყოფილის სახსრების ნაშთიდან გედსამანიის გზის სარეაბილიტაციოდ. და საკუთარი სახსრებით 52,5 ათასი ლარი .

ხიდებისა და ბოგირების შეკეთებაზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ხარჯები არ გაწეულა.

მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად გაწეულია 1,6 ათასი ლარი.

2) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე გათვალისწინებული 190,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 181,0 ათასი ლარი, ე.ი. 95,1 პროცენტი, აქედან: დასუფთავების ღონისძიებების სუბსიდირებაზე 129,6 ათასი ლარი, გარე განათების სუბსიდირებაზე 51,2 ათასი ლარი, ხოლო 0,2 ათასი ლარი დაიხარჯა განათების ქსელზე დასაერთებლად. სულ აღნიშნული პროგრამის დასაფინანსებლად 2016 წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაწეულია 3,9 ათასი ლარით მეტი.

3) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე 49,8 ათასი ლარიდან დაიხარჯა 42,6 ათასი ლარი და მთლიანად მოხმარდა პარკებისა და სკვერების სუბსიდირებას. გასულ წელს კი ამ ღონისძიებაზე 53,3 ათასი ლარი იყო დახარჯული.

4) სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2017 წლის პირველ კვარტალში გასული წლების სახელმწიფო ფონდების ნაშთიდან დაიხარჯა 36,1 ათასი ლარი, მიმდინარე წლის ბიუჯეტში სოფლის მხარდამჭერი პროგრამით სახსრები აღარ გამოყოფილა.

განათლებაზე 2017 წლის პირველ კვარტალში გათვალისწინებული 285,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 272,2 ათასი ლარი და დაფინანსებულია 95,2 პროცენტით, მ.შ. სკოლამდელი განათლებაზე დაგეგმილი 235,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 223,8 ათასი ლარი, სკოლა–ინტერნატის სუბსიდირებაზე – 24,8 ათასი ლარი, მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 23,6 ათასი ლარი;

სულ განათლების დაფინანსებაზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაწეულია 9,0 ათასი ლარით ნაკლები ხარჯი. (გასული წლის პირველ კვარტალში განათლებას მოხმარდა 281,2 ათასი ლარი)

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯები დაგეგმილი 277,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 260,0 ათასი ლარი და დაფინანსებულია 93,6 პროცენტი, აქედან სპორტის განვითარებაზე 81,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 80,1 ათასი ლარი, საიდანაც სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 1,1 ათასი ლარი, სპორტული სკოლის სუბსიდირებაზე 53,6 ათასი ლარი, ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე 25,4 ათასი ლარი.

კულტურის განვითარებაზე დაგეგმილი 170,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 165,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 96,8 პროცენტით, აქედან:

სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 24,3 ათასი ლარი, ხალხური შემოქმედების სახლის სუბსიდირებაზე 7,5 ათასი ლარი, კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე 66,4 ათასი ლარი, ცენტრალური ბიბლიოთეკის სუბსიდირებაზე 35,3 ათასი ლარი, ისტორიული მუზეუმის სუბსიდირებაზე 20,2 ათასი ლარი, რ. თაბუკაშვილის სახ. ლიტ. თეატრის სუბსიდირებაზე 11,8 ათასი ლარი. ა(ა)იპ ჩართულობის ცენტრის სუბსიდირებაზე 13,8 ათასი ლარი;

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 0,6 ათასი ლარი.

გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით მიმდინარე წელს კულტურის და სპორტის სფეროს დაფინანსებას მოხმარდა 151,3 ათასი ლარით ნაკლები, ვინაიდან მიმდინარე წელს არ დაფინანსებულა საფეხბურთო კლუბი ჩხერიმელა.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე პირველ კვარტალში დაიხარჯა 148,1 ათასი ლარი, აქედან საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე დახარჯულია 26,3 ათასი ლარი და სოციალურ პროგრამებზე 121,8 ათასი ლარი, აქედან უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე დახარჯულია 20,3 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის ერთჯერად დახმარებებზე 88,0 ათასი ლარი, ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებაზე 6,0 ათასი ლარი და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე უსახლკარო ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის ხარჯებზე 7,5 ათასი ლარი;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წლის პირველ კვარტალში გაწეული 1629,2 ათასი ლარიდან არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართულია 144,2 ათასი ლარი, ვალდებულებების კლებაზე 0,9 ათასი ლარი, ხოლო 1484,1 ათასი ლარი ყველა დანარჩენ ხარჯებზე, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 396,9 ათასი ლარი ანუ ხარჯების 26,7 %; საქონელზე და მომსახურებაზე 177,9 ათასი ლარი ანუ 11,9 %; აქედან შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 29,6 ათასი ლარი, მივლინების ხარჯების ანაზღაურებაზე 2,4 ათასი ლარი, საოფისე ხარჯების გაწევაზე 53,0 ათასი ლარი, წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურებაზე 0,8 ათასი ლარი, სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე 36,6 ათასი ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე 55,5 ათასი ლარი, სუბსიდირებაზე 796,4 ათასი ლარი, გრანტებზე 0,4 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე 100,4 ათასი ლარი და სხვა ხარჯებზე 12,1 ათასი ლარი.

2017 წლის პირველ კვარტალში გადასახდელების დასაფინანსებლად გაწეული ხარჯები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შემცირებულია 195,8 ათასი ლარით; აქედან არაფინანსური აქტივების ზრდაზე გაწეული ხარჯები შემცირებულია 25,7 ათასი ლარით, ვალდებულებების კლება ასევე შემცირებულია 9,0 ათასი ლარით და სხვა დანარჩენი ხარჯები შემცირებულია 161,1 ათასი ლარით, მათ შორის შრომის ანაზღაურების ხარჯები შემცირებულია 10,1 ათასი ლარით, სუბსიდიები შემცირებულია 113,9 ათასი ლარით, თუმცა საქონელი და მომსახურების ხარჯები გაზრდილია 29,5 ათასი ლარით, ვინაიდან საკმაოდ გაზრდილია მუნიციპალიტეტის გამგეობაში მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება და გზების თოვლის საფარისაგან გასაწმენდი ხარჯები. (საწვავი, ტრანსპორტის დაქირავებისა და სახელშეკრულებო წესით შესრულებული სამუშაოების ღირებულება)

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
ვლადიმერ გელაშვილი

ვაქცინაცია იცავს ჯანმრთელობას სიცოცხლის ყველა ეტაპზე!

მსოფლიოში იმუნიზაციის პროგრამების ფართომასშტაბიანი განხორციელების შედეგად მკვეთრად შემცირდა ვაქცინაციის მართვადი ინფექციებით ავადობა და სიკვდილიანობა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის ყველა ქვეყანა, მათ შორის, საქართველო სერტიფიცირებულია, როგორც ველური პოლიომიელიტის ვირუსისაგან თავისუფალი ტერიტორია.

მიმდინარე წელს, იმუნიზაციის კვირეულის განმავლობაში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა წითელა-წითურას ელიმინაციის, პოლიომიელიტის გლობალური ერადიკაციის პროცესში მიღწეულ პროგრესსა და არსებულ გამოწვევებს.

სწორედ იმუნიზაციის კვირეულის ფარგლებში, 27 აპრილს, N1 საბავშვო ბაღში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის (დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე) იმუნიზაციის ჯგუფმა (ხელმძღვანელი ნინო ბუხნიკაშვილი, თანაშემწე ნანა ბერაძე) საინფორმაციო შეხვედრა პედაგოგებთან, მშობლებთან და უფროსი ჯგუფის აღსაზრდელებთან გამართა. „იმუნიზაცია ჩვენი შვილების ჯანმრთელობის გარანტია და აუცილებელია, ზუსტად დავიცვათ აცრების ეროვნული კალენდარი, რაც მთავარია, დროულად ჩავუტაროთ აცრების კურსი. იმუნიზაცია უწყვეტი პროცესია. აცრებსა და ვაქცინებზე ინტენსიურად მიმდინარეობს მუშაობა,“- აღნიშნა ნინო ბუხნიკაშვილმა.

მსოფლიოში მუდმივად მიმდინარეობს ახალი ვაქცინების დანერგვა. მალე საქართველოშიც დაინერგება ადამიანის „პაპილომა ვირუსის“ საწინააღმდეგო ვაქცინა, რომლითაც აიცრებიან 9 წლის გოგონები და მთელი ცხოვრების განმავლობაში დაცული იქნებიან საშვილოსნოს ყელის კიბოსგან.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის იმუნიზაციის ჯგუფის თავდაუზოგავი მუშაობის შედეგია, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ასაცრელი კონტინგენტის ვაქცინაციის მოცვის მაჩვენებელი 97-100%-ია. რაც

არა მარტო რეგიონში, არამედ ქვეყნის მასშტაბითაც უმაღლეს მაჩვენებელს წარმოადგენს.

თამარ მაღრაძე

„ეკვილიბრიუმი" განათლებული საქართველოსთვის!

ხარაგაულს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი, გიორგი კეკელიძე, სტუმრობდა.

პოეტი, პროზაიკოსი, lib.ge-ს და „ეკვილიბრიუმის“ დამფუძნებელი ხარაგაულში ცენტრალური ბიბლიოთეკის (დირექტორი ნიკოლოზ მაჭავარიანი) პროექტის „შეხვედრა ცნობილ ადამიანებთან“ ფარგლებში იმყოფებოდა.

გიორგი კეკელიძე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს, ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, პედაგოგებსა და ხარაგაულელ მკითხველს ცენტრალური ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შეხვდა და მათ ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ესაუბრა.

საუბრის მთავარ თემას ასევე ადამიანის ცხოვრებაში წიგნის როლი და მისი მნიშვნელობა წარმოადგენდა.

გიორგის ორდღიანი ვიზიტი ხარაგაულში სოფელ ნადაბურიდან დაიწყო, სადაც მან იქ არსებულ ბიბლიოთეკას, ეროვნული ბიბლიოთეკის სახელით, ახალი წიგნები გადასცა. კეკელიძემ სოფელი ფარცხნალიც მოინახულა და სოფლის ბიბლიოთეკას რამდენიმე წიგნი უსახსოვრა.

ბატონი გიორგი ცენტრალური ბიბლიოთეკის გვერდით სკვერის მოწყობას გეგმავს, ორიგინალური ე.წ. „დევის“ ფორმის ბიბლიოთეკით, რაც ღია, თავისუფალ სივრცეში, განთავსებულ სამკითხველოს გულისხმობს.

„ვფიქრობ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ერთობლივი ძალებით ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ. რეგიონებმა უნდა შეძლონ იმ მისიის საკუთარ თავზე აღება, რასაც საქართველოს უკეთესი მომავლისკენ სწრაფვა ჰქვია. ხარაგაულში განათლებული, საღად მოაზროვნე ადამიანები ცხოვრობენ. მადლობა მათ ასეთი მხარდაჭერისა და სიყვარულისთვის,“ - აღნიშნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა.

გიორგი კეკელიძემ ცენტრალურ ბიბლიოთეკას საკუთარი წიგნები უსახსოვრა, ხოლო ნიკოლოზ მაჭავარიანმა, სტუმარს საჩუქრად აღდგომის ხატი გადასცა.

თამარ მაღრაძე

მესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორმა საგზაო უსაფრთხოების წესების დაცვის მიზნით ხარაგაულში შეხვედრა გამართა

სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევები დღითიდღე მატულობს და მდგომარეობა საგანგაშო ნიშნულს უახლოვდება.

საგზაო უსაფრთხოების წესების დაცვის მიზნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის კინოთეატრში ზესტაფონის რაიონული პროკურატურის პროკურორმა, კობა სირაძემ და წარმომადგენელმა ვახტანგ ნიქაბაძემ შეხვედრა გამართეს, რომელსაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, თემურ ჩხეიძე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, საჯარო მოხელეები, ა(ა)იპ-ების თანამშრომლები ესწრებოდნენ.

შეხვედრის ძირითად მიზანს საზოგადოებაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ნორმების დაცვის კუთხით ცნობიერების ამაღლება ისახავდა მიზნად. კობა სირაძემ მძღოლებისა და ქვეითების მიერ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ავტოსაგზაო შემთხვევები ყოველდღიურად მატულობს.

მისივე ინფორმაციით, ძირითადად საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების გამომწვევი მიზეზები მანევრირების წესების დარღვევა, მოძრაობის დადგენილი სიჩქარის გადაჭარბება და საავტომობილო საშუალების ნასვამ მდგომარეობაში მართვა გახლავთ.

შეხვედრის მიმდინარეობისას ავტოსაგზაო შემთხვევების ვიდეო-რგოლები აჩვენეს, რომლებშიც ასახულია, თუ რა შედეგები მოსდევს უსაფრთხოების წესების დაუცველობას. საზოგადოების წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ზესტაფონის რაიონული პროკურატურის წარმომადგენლებისგან მათთვის საინტერესო კითხვებზე მიეღოთ პასუხები.

ა(ა) იპ-ების დირექტორებმა დეპუტატების კითხვებს უპასუხეს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დეპუტატებმა „ხარაგაულკეთილმოწყობის“, „ხარაგაულდასუფთავების“ და „სათნოების სახლის“ ხელმძღვანელ პირებს მოუსმინეს.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, სხდომის დასაწყისში აღნიშნა, საკრებულოს დეპუტატებმა ქეთევან ზუმბაძემ და ინგა მაღრაძემ კომისიას განცხადებით მიმართეს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ზემოთ ხსენებულ ა(ა)იპ-ებში (,,ხარაგაულკეთილმოწყობა“, ,,ხარაგაულდასუფთავება“) მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, შესყიდვებისა და საქმისწარმოების კუთხით, სავარაუდოდ, ხარვეზებია, ხოლო „სათნოების სახლში,“ ბენეფიციართა კვების რაციონი გადასახედი ან მთლიანად შესაცვლელია.

რატომ დააკლდათ სათნოების სახლის თანამშრომლებს ხელფასები, რაში იხარჯება ტრანსპორტირების თანხა 300 ლარი, როგორ შეიძლება საკმარისი იყოს 200 გრ პური და 29 გრ ხორცი დღიური ნორმა ბენეფიციარისთვის, რა საჭიროა მოადგილის შტატი ისედაც შტატებგაზრდილ სასადილოში? - ეს ის კითხვებია, რომლითაც ქეთევან ზუმბაძემ უფასო სასადილოს დირექტორს, გოგიტა ჩიჩილიძეს, მიმართა.

გოგიტა ჩიჩილიძის განმარტებით, როცა შემცირებული ბიუჯეტი მიიღო, თანამშრომლების სამსახურიდან გაშვებას ხელფასების შემცირება ამჯობინა. მოადგილის შტატის არსებობა კი, სათნოების სახლის დირექტორმა აუცილებლობიდან გამომდინარე ახსნა. „მყავდეს მოადგილე სამეურნეო დარგში ეს ჩემი უფლებაა“, - განაცხადა გოგიტა ჩიჩილიძემ. ბენეფიციარების დღიურ ნორმას რაც შეეხება, ჩიჩილიძე განმარტავს, რომ ულუფა ერთჯერად კვებაზეა გათვლილი და არა დღიურ ნორმაზე. ტრანსპორტირების თანხა კი, პროდუქტის მოსატანადაა გაწერილი „ხელშეკრულება გვაქვს დადებული კერძო მეწარმესთან და მომსახურების თანხას მას ვურიცხავთ“ , - აღნიშნა გოგიტა ჩიჩილიძემ.

დეპუტატი ინგა მაღრაძე ბენეფიციართა კვების მომსახურების ტენდერზე გატანას უფრო მართებულად მიიჩნევს და ამბობს, რომ ამ ფორმით თანხებიც დაიზოგება და კვების ხარისხიც გაუმჯობესდება.

რაც შეეხება ,,ხარაგაულკეთილმოწყობას“, ქეთევან ზუმბაძე ამბობს, რომ სამსახურში ხელფასი გაცემულია და არც ბრძანებაა დაწერილი და არც ხელშეკრულებაა გაფორმებული. დეპუტატის ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ ა(ა)იპ-ში თავიდანვე დიდი არეულობაა და ახლანდელი დირექტორი არაფერ შუაშია. შესყიდვებში და საქმისწარმოებაში რომ დარღვევებია, ეს აუდიტის დასკვნაშიც წერია. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი ახლად შემოტანილ ქუჩის ქოთნებზე საუბრობს და კომისიის წევრებს ქოთნის დაჟანგული ყალიბების ფოტომასალას უჩვენებს.

კეთილმოწყობის სამსახურში საქმისწარმოებისა და შესყიდვების კუთხით აუდიტის დასკვნის შედეგად გამოკვეთილ დარღვევებზე საუბრობს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი და ამბობს, რომ ამაზე ვინმემ პასუხი უნდა აგოს: ,,შვიდი ქოთნის ყალიბშია ფული გადახდილი. დასკვნის მიხედვით კი შეძენილი ყალიბები სრულად არაა შემოტანილი, რაც დარღვევად მიმაჩნია. სამსახურს ზოგიერთ სოფელში გარე განათების მოსაწყობად სუბსიდიის სახით მიღებული აქვს თანხა და ვალდებულება ბოლომდე არ აქვს შესრულებული,“ - განაცხადა ვარლამ ჭიპაშვილმა.

ა(ა)იპ-ის დირექტორის, დავით ლაცაბიძის, თქმით, წინა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას ის ვერ აიღებს და რასაც ახლა აკეთებს, ის სწორად მიაჩნია. სამსახურის უფროსი განმარტავს, რომ რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება და ხარვეზები აუცილებლად გამოსწორდება, „რაც შეეხება ჩვენს საქმიანობას, დღე და ღამე ვშრომობთ და რასაც ხარაგაულის კეთილმოწყობისთვის საჭიროდ და აუცილებლად მივიჩნევთ, იმას ვაკეთებთ, მარტო გარე განათება არაა ჩვენი სამსახურის საქმე,“ - განაცხადა დავით ლაცაბიძემ და სხდომათა დარბაზი დატოვა.

დეპუტატებმა ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების“, სამსახურის არასაკმარის თანხებზე ისაუბრეს. თემურ ფურცელაძემ აღნიშნა, რომ დამატებითი თანხები საწვავისთვის ესაჭიროება. „რაც ტექნიკა დაგვემატა და გაიზარდა დასუფთავების სამსახურის მომსახურების არეალი, თანამშრომლების დამატება აუცილებელია, ჩვენი სამსახური ასეთია - ვფართოვდებით და მომსახურებისთვის თანხებიც მეტია საჭირო“, - მიმართა კომისიის წევრებს თემურ ფურცელაძემ.

კომისიის სხდომაზე გამგეობის არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის ანგარიში მოისმინეს, რომელიც ამავე სამსახურის უფროსმა, თემური თაბუკაშვილმა, წარადგინა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას, ზემოთ აღნიშნული ა(ა)იპ-ების დირექტორებთან ერთად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე და გამგეობის იურიდიული განყოფილების უფროსი ინგა ლურსმანაშვილი ესწრებოდნენ.

ლელა გუგულაშვილი

ხარაგაულში საგანმანათლებლო კვირეული ჩატარდა

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის (უფროსი დავით კიკნაძე) ორგანიზებით მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში საგანმანათლებლო კვირეული ჩატარდა. კვირეულის ფარგლებში გაიმართა კონკურსები, სპორტული შეჯიბრებები და სხვადასხვა შემეცნებითი აქტივობები. კონკურსების შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებსაც სპეციალურად შერჩეული კომპეტენტური ჟიური აფასებდა. მათ შემადგენლობაშიც იყვნენ: ირინე ჩხეიძე (გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი), იზა ვეფხვაძე (რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის დირექტორი), ნინო დიდიძე (ისტორიული მუზეუმის დირექტორი), მარინე ვეფხვაძე (საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე), ლალი სებისკვერაძე (საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე), ლელა შარიქაძე (კულტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი განათლების საკითხებში).

კვირეულის ჩატარების მიზანი სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებში თანამშრომლობითი, კომუნიკაციის, შემოქმედებითი უნარების აღმოჩენა, განვითარება, წახალისება-ხელშეწყობა იყო. სასწავლო პროცესი გახდა მრავალფეროვანი, სახალისო და საინტერესო. მოეწყო ღია გაკვეთილები, რომლებშიც ერთნაირად ჩაერთნენ მასწავლებლებიცა და მოსწავლეებიც.

ბულინგი - სემინარი ფსიქოლოგ გოჩა გიორგიძისგან

კვირეულის პირველი საკონკურსო დღე ბულინგის თემას მიეძღვნა. აღნიშნულ საკითხზე ლექცია-სემინარი ჩაატარა ფსიქოლოგმა გოჩა გიორგიძემ (დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროსი), რის შემდეგაც 13-მა საჯარო სკოლამ ძალადობის თემასთან დაკავშირებული ვიდეორგოლები წარმოადგინა.

მეტად საინტერესო და შთამბეჭდავი აღმოჩნდა დაბა ხარაგაულის N3 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეების (პედაგოგი,ვარლამ ჭიპაშვილი) მიერ მომზადებული ვიდეო რგოლი, რომლითაც ისინი ბულინგის თემას გამოეხმაურნენ.

სემინარზე საუბარი იყო - რა არის ბულინგი, რამდენი სახეობის შეიძლება იყოს ის, როგორია ძალადობის ფორმები და რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს მოზარდის ჩაგვრამ. გოჩა გიორგიძის განმარტებით, ბულინგი ძალადობის ის ფორმაა, რომელიც მწვავედ დგას მთელ მსოფლიოში. პრეზენტატორი ამბობს, რომ ბულინგის ძალიან ბევრი შემთხვევა ხდება, ძირითადად კი, ეს ბავშვებს შორის, სასკოლო დაწესებულებებში ვლინდება. მისი აზრით, ბულინგის პრობლემების გადაჭრისთვის აუცილებელია სკოლებში პრევენციული ღონისძიებების გატარება და საგაკვეთილო პროცესებში ფსიქოლოგების როლის გაზრდა.

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ, საინტერესო ინფორმაციის წარმოდგენისათვის მადლობა გადაუხადა გოჩა გიორგიძეს და აღნიშნა: „დღევანდელი ღონისძიების მიზანია, ახალგაზრდებმა ერთმანეთის მიმართ სიყვარული და პატივისცემა ისწავლონ. არ დაამცირონ თანატოლები ფიზიკური ან სოციალური მდგომარეობის გამო და არ ჩამოყალიბდნენ მოძალადეებად.

ღია გაკვეთილი მუნიციპალიტეტის სკოლებში

კვირეულის ფარგლებში მუნიციპალიტეტის პედაგოგებმა წარმოაგდინეს სწავლა- სწავლების თანამედროვე მეთოდები, სურვილისამებრ მოხდა აღნიშნული გაკვეთილების განთავსება ინტერნეტსივრცეში.

ღონისძიების ფარგლებში დაბის N3 საჯარო სკოლის მე-10 კლასში სამოქალაქო განათლების პედაგოგმა, ვარლამ ჭიპაშვილმა, ღია გაკვეთილი ჩაატარა თემაზე „საქართველოს პარლამენტი“ . აღნიშნულ საგაკვეთილო პროცესზე მიწვეული ჰყავდა ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, ბატონი კობა ლურსმანაშვილი, რომელიც მოსწავლეებს საპარლამენტო საქმიანობის შესახებ ესაუბრა და მოსწავლეთა შეკითხვებს უპასუხა.

რა? სად? როდის? გამარჯვებული N3 საჯარო სკოლა გახდა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტელექტუალური შეჯიბრი ,,რა? სად? როდის?“ ჩატარდა, რომელშიც დაბის N3 საჯარო სკოლამ გაიმარჯვა. მეორე ადგილზე, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია გავიდა. მესამე ადგილი კი ვახანის საჯარო სკოლამ დაიკავა.

„სკოლის კუთხე“ - ხელოვნების ნიმუშების გამოფენის კონკურსი

„სკოლის კუთხე“ - ასე ერქვა კონკურსს, რომელიც ამავე კვირეულის ფარგლებში 26 აპრილს ისტორიულ მუზეუმში ჩატარდა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლე - მასწავლებელთა მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშები. მოსწავლეთა გამოფენას უცხოელი ტურისტები სტუმრობდნენ, რომლებმაც დიდი მოწონება გამოხატეს ახალბედა ხელოვანების მიმართ.

კვირეულის ფარგლებში მოეწყო სპორტული შეჯიბრი ფრენბურთში, რომელშიც მოსწავლე-მასწავლებლებისგან დაკომპლექტებული ათი გუნდი მონაწილეობდა. ფრენბურთში გამარჯვება დაბის N2 საჯარო სკოლამ მოიპოვა. მეორე ადგილზე კი ზვარის საჯარო სკოლა გავიდა.

„ეს ხარაგაულია“

ცენტრალური ბიბლიოთეკის ინოვაციების ცენტრში მოეწყო ვიდეოპრეზენტაციები თემაზე ,,ჩვენი სკოლა“, სადაც მოსწავლეებმა საკუთარი სკოლების ისტორია საკმაოდ შთამბეჭდავად და საინტერესოდ წარმოადგინეს. ამავე დღეს ხარაგაულის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა ნახატების გამოფენა ,,ეს ხარაგაულია“ და ასევე გაიმართა კონკურსი, პროზა -პოეზიის თემაზე ,,დრო“.

საგანმანათლებლო კვირეულის დასკვნით ღონისძიებაზე ხარაგაულის კინოთეატრში

საგანმანათლებლო კვირეულის დასკვნითი ღონისძიება კინოთეატრში გაიმართა. საღამოზე არაერთი მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ნომერი შესრულდა. საზეიმო ცერემონიალს ბაღდათი ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენელები ესწრებოდნენ. ღონისძიების დაწყებამდე კინოთეატრის წინ მოეწყო გამოფენა-გაყიდვა სახელწოდებით „გოგასთვის“. აღსანიშნავია, რომ აქციის ფარგლებში შემოსული თანხით ხარაგაულელ გოგა კვინიკაძეს დაეხმარებიან.

საგანმანათლებლო კვირეულის ფარგლებში ჩატარებულ კონკურსებში გამარჯვებული სკოლები გამოვლინდნენ, რომელთაც სიმბოლური საჩუქრები ახლო მომავალში გადაეცემათ.

დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართულ ვიდეოკონკურსში 15 საჯარო სკოლა ჩაერთო. კონკურსში გამარჯვებული კი სოფელ ლეღვნისა და ბორის საჯარო სკოლები გახდნენ.

ისტორიულ მუზეუმში გამართულ ,,სკოლის კუთხის“ ჩვენებაზე, გამოიფინა მოსწავლეების მიერ ხელნაკეთი ნივთები. ჟიურის გადაწყვეტილებით სკოლებს მიენიჭათ სხვადასხვა ნომინაცია:

,,ყველაზე ეროვნული“ - დაბის N2, ხიდრის, ვაშლევისა და ბაზალეთის საჯარო სკოლებს.

,,ყველაზე ორიგინალური“ - დაბის N3, ბორის, საღანძილის, კიცხისა და ლაშის საჯარო სკოლებს.

,,ყველაზე ინდივიდუალური“- ხევისა და ღორეშის საჯარო სკოლებს.

,,ყველაზე შინაარსობრივი“ -ვერტყვიჭალის საჯარო სკოლასა და წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიას.

,,მხიარული ფერები“- მოლითის, მარელისის,ზვარისა და ვარძიის საჯარო სკოლებს.

ბულინგის თემაზე შექმნილი ვიდეორგოლებიდან ყველაზე დიდი მოწონება ხარაგაულის N3 და ხევის საჯარო სკოლებმა დაიმსახურეს.

გამორჩეული ნახატი ,,ჭაღარა ხარაგაული“ ლაშის საჯარო სკოლის მოსწავლემ, დიანა ლომიძემ, წარმოადგინა. რაც შეეხება ლიტერატურულ კონკურსს, საუკეთესო პროზაული ნაწარმოებისათვის ხარაგაულის N3 საჯარო სკოლის მოსწავლე ნინო ჭყოიძე, საუკეთესო პოეტური ნაწარმოებისათვის – ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის მოსწავლე, მარიამ ლომიძე, დაჯილდოვდნენ.

საგანმანათლებლო კვირეულის დასკვნით ღონისძიებაზე რესურსცენტრის უფროსმა, დავით კიკნაძემ, მადლობა გადაუხადა თითოეულ სკოლას მხარდაჭერისა და ღონისძიებაში მონაწილეობისათვის და აღნიშნა, რომ მათი დახმარების გარეშე პროექტი არ შედგებოდა.

თამარ მაღრაძე
ლელა გუგულაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა ჯომარდობის ეროვნულ ნაკრებს შეასპინძლა

29 აპრილს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრის(დირექტორი ბერიკა თურმანიძე) ინიციატივით, საქართველოს ჯომარდობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი, დავით ქაცარავა, ჯომარდობის ეროვნულ ნაკრებთან ერთად ხარაგაულს ესტუმრა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, ფედერაციის წარმომადგენლებს მხარდაჭერა აღუთქვა. გამგებელმა სპორტის განვითარების მნიშვნელობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ექსტრემალური სპორტის ეს სახეობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში აუცილებლად განვითარდება. ჯომარდობის ეროვნულმა ნაკრებმა, ხარაგაულის მოყვარულ ჯომარდთა გუნდთან ერთად, მდინარე ჩხერიმელაზე დაშვება განახორციელა.

„მიხარია, რომ შესაძლებლობა მოგვეცა, ,,გაგვეცნო" მდინარე ჩხერიმელა, რომელიც რამდენიმე დონის სირთულის გამო უფრო საინტერესო და მიმზიდველია... ყველანი გაკვირვებული ვართ მოყვარულთა სიმამაცით. დაბრკოლებების მიუხედავად, საკმაოდ პოზიტიური დაშვება გამოგვივიდა. იმ შემთხვევაში, თუ ხარაგაულს სპორტის ამ სახეობაში კვალიფიციური გუნდი ეყოლება, ვპირდები მას, რომ მომავალ წელს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას."-განაცხადა დავით ქაცარავამ.

ბერიკა თურმანიძის ინფორმაციით, ჯომარდობის ეროვნული ფედერაცია ხარაგაულს საჩუქრად ნავს გადმოსცემს და ტრენინგების გავლაშიც დაეხმარება.

,,ჯომარდთა ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელიც 26 მაისს ბორჯომში გაიმართება. ჩხერიმელაზე დაშვება მათთვის ერთგვარი ვარჯიშიც იყო. ,,ტურიზმის ცენტრის" მიზანია, ხარაგაულს კვალიფიციური ინსტრუქტორები ჰყავდეს, რომელთა გადამზადებაში დახმარებას ფედერაციასთან ერთად ქუთაისის სანაოსნო სკოლაც გაგვიწევს. ვგეგმავთ ნავების შეძენას, ტურისტულ მომსახურებაში რომ ჩავერთოთ. მადლობა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რადგან საინტერესო ინიციატივების განხორციელებისთვის ყოველთვის მხარს გვიჭერენ."- დასძინა ტურიზმის ცენტრის დირექტორმა.

ლელა გუგულაშვილი

ხარაგაულში მოლაშქრეთა კლუბი ჩამოყალიბდა

ხარაგაულში შალვა ბერაძის ინიციატივით მოლაშქრეთა კლუბი „ამარათი" ჩამოყალიბდა. შალვასთან ერთად კლუბის თანადამფუძნებლები ლაშა გელაშვილი (საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე) და ოთარ ლურსმანაშვილია (მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი). მოლაშქრეთა კლუბს თბილისიდან გამოცდილი მოლაშქრე და გამყოლი, ოთარ ფერაძე, გაუწევს პარტნიორობას.

შალვა ბერაძე ამბობს, რომ ხარაგაულის მოლაშქრეთა კლუბი განსაკუთრებულ მომსახურებას სთავაზობს მოლაშქრეებს.

„ამარათს" თქვენთვის შეუძლია ლაშქრობების, ტურების, ტყეში ივენთების მოწყობა, საინტერესო თავგადასავლებით, მხიარული თამაშებით და, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, მოლაშქრეთა კლუბი უზრუნველყოფს ექსკურსიების ორგანიზებას მომსახურების სრული პაკეტით.

მნიშვნელოვანია, რომ ხარაგაულელი ახალგაზრდა შალვა ბერაძე სერტიფიცირებული და საკმაოდ გამოცდილი გიდია, მას მონაწილეობა აქვს მიღებული ათეულობით ტურში.

მოლაშქრეთა კლუბის ჩამოყალიბებას მუნიციპალიტეტში მხარდაჭერას უცხადებენ ხარაგაულის ტურიზმის ცენტრი (დირექტორი ბერიკა თურმანიძე) და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ხარაგაულის ოფისი.

ხარაგაულელმა გოგონებმა გეზრბენში მეორე ადგილი დაიკავეს

ქუთაისში სასკოლო სპორტული ოლიმპიადის იმერეთის რეგიონული ტური გაიმართა გეზრბენში, სადაც ხარაგაულის სოფელ ხევის გოგონათა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. პირველ ადგილზე ჭიათურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები გავიდნენ.

ხევის გოგონათა გუნდს, 14 მაისს, სასკოლო სპორტული ოლიმპიადის გამარჯვებულთა დაჯილდოებაზე ფასიანი საჩუქრები გადაეცემა.

14 მაისს, ასევე, გაიმართება კალათბურთის ტური, სადაც ხარაგაულის სოფელ ვერტყვიჭალის გოგონათა ნაკრები მესამე ადგილისთვის იბრძოლებს და ტყიბულის გოგონათა გუნდს დაუპირისპირდება.

საერთაშორისო ტურნირზე ხარაგაულელმა ზაურ ბერაძემ ვერცხლის მედალი მოიპოვა

22-23 აპრილს ჭიდაობის მსოფლიო გაერთიანება UWW-ს ეგიდით, ესპანეთის ქალაქ ელჩეში თავისუფალ ჭიდაობაში საერთაშორისო ტურნირი გაიმართა. ტურნირზე საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა 10 მედალი - 7 ოქრო და 3 ვერცხლი მიიღეს. ნაკრების წევრებმა შვიდივე წონით კატეგორიაში შეძლეს გამარჯვება. ტურნირზე ვერცხლის მედალი ხარაგაულელმა ზაურ ბერაძემ მოიპოვა.

ვულოცავთ ზაურს ესპანეთის საერთაშორისო ტურნირზე მეორე ადგილის მოპოვებას და წარმატებებს ვუსურვებთ.

გოგა კვინიკაძის დასახმარებლად საქველმოქმედო აქცია მოეწყო

ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ინიციატივით გოგა კვინიკაძის დასახმარებლად საქველმოქმედო აქცია - „მე დღეს გოგას დედა ვარ" მოეწყო. აქცია საგანმანათლებლო კვირეულის ფარგლებში განხორციელდა და მასში აქტიურად ჩაერთო, როგორც საჯარო სამსახურები, ასევე კერძო სექტორის წარმომადგენლები. საერთო ჯამში 10180 ლარი შემოვიდა, მათ შორის 1500 ლარი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ გამოყო.

გოგას ცხოვრება ერთმა საბედისწერო დღემ შეცვალა. 2015 წლის 9 აგვისტოს მდინარე ჩხერიმელაზე მომხდარი უბედური შემთხვევის შედეგად, 23 წლის გოგა კვინიკაძემ ხერხემლის მძიმე დაზიანება მიიღო. გოგას მდგომარეობა რთულია მას საქართველოში ჩაუტარდა ოპერაცია, გაიარა მკურნალობის კურსი, მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესების გამო გოგას სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროება, რადგან მძიმე ტრავმის გამო, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12